პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 იანვარი ოთხშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 18 (14318)

ადგილობრივი საბჭოების არჩევნები

ჩვენს რესპუბლიკაში იწყება დიდი პოლიტიკური კამპანია — ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით არჩევნების დღედ დაწესებულია 1969 წლის 16 მარტი.

წელს ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ეწყობა ღირსშესანიშნავ პერიოდში. მთელ ჩვენს ქვეყანაში გაშლილია საყოველთაოსახალხო მზადება დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება, რათა ახალი შრომითი სიჩუქრებით აღნიშნონ ბელადის იუბილე და ვადამდე გაანაღდონ ხუთწლედის დავალებანი.

დღეს, როცა ვაჯამებთ შარშან გაწეულ მუშაობას, ღრმა ანალიზს ვუკეთებთ ეკონომიურ მაჩვენებლებს, ვუყურებთ უზარმაზარ ქარხნებსა და ფაბრიკებს, უახლესი ტექნიკით აღჭურვილ მძლავრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, კეთილმოწყობილ ქალაქებსა და სოფლებს, ჩვენს წინაშე ისახება კიდევ უფრო მეტი გადასაწყვეტი ამოცანა, ყოველივე ეს ასახულია ხუთწლედის მეოთხე წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაში, რომელიც გასული წლის ბოლოს განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ.

ახლა მთავარია შარშანდელი შრომის ტემპი კიდევ უფრო გავაძლიეროთ, ამთავითვე ვიბრძოლოთ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე დიდია ადგილობრივი საბჭოების როლი. საბჭოები გამოხატავენ ხალხის სრულ ძალაუფლებას, ისინი ძლიერნი არიან თავიანთი მასობრივობით. შეიძლება ითქვას, ახლა არ არის არცერთი საწარმო, სახალხო მეურნეობის არცერთი უბანი, რომელსაც საბჭოებში თავისი წარმომადგენელი არა ჰყავდეს. ეს საბჭოებს უდიდეს შესაძლებლობებს აძლევს გავლენას ახდენდნენ ცხოვრების ყველა მხარეზე, უფრო წარმატებით მონაწილეობდნენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის მზადების შესახებ ნათქვამია:

— განვამტკიცებდეთ საბჭოთა სახელმწიფოს, ვაკაცობრიებდეთ სოციალისტურ დემოკრატიას, ვამაღლებდეთ საბჭოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლსა და პასუხისმგებლობას მთელ ჩვენს ცხოვრებაში, სულ უფრო ფართოდ ვიზიდავდეთ მშრომელებს სახელმწიფოს მართვის პრაქტიკულ საქმეებში, ვზრდიდეთ ახალ ადამიანს — კომუნიზმისათვის აქტიურ მებრძოლს.

ადგილობრივი საბჭოების როლის, მათი დეპუტატების აქტივობის ამაღლება შესაძლებელია მხოლოდ ხელმძღვანელობის კოლეგიურობის ლენინური პრინციპის განუხრელად დაცვის პირობებში. თავიანთი ბუნებით საბჭოები განასახიერებენ კოლეგიტიურ გონებას და გამოცდილებას, ისინი კოლეგიალური ორგანოებია. ყველა საკითხს საბჭოები ერთად განიხილავენ და წყვეტენ დეპუტატები.

საბჭოები, სახელმწიფო ხელისუფლების მთელი სისტემა ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფს სახალხო რჩეულის ავტორიტეტს და ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ეს მხარე სარგებლობს კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, საკანონმდებლო ხელისუფლების შეუნელებელი უურადღებით. საკმარისია გავიხსენოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, კანონი, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ სასოფლო და სადაბო საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ, აგრეთვე შესაბამისი კანონები, მიღებული მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების სესიებზე, სხვა სახელმწიფო აქტები. ყველა ისინი ხელს უწყობენ საბჭოების და ამდენად მათი დეპუტატების ავტორიტეტის განმტკიცებას, მიმართული არიან იქითკენ, რომ უფრო მეტად გაფართოვდეს და გაღრმავდეს დემოკრატიული საწყისები სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მოღვაწეობაში, მაქსიმალურად გაფართოვდეს მასების მოღვაწეობა ცხოვრების ყველა საკითხის გადაწყვეტაში.

ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნების შედეგად ახალი ძალები შეემატება საბჭოებს. ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა ორგანოების განმტკიცების საქმეს.

ჩვენი საარჩევნო სისტემა შესაძლებლობას აძლევს ამომრჩევლებს დეპუტატთა არჩევის დროს თავისუფლად და მთლიანად გამოიყენონ თავიანთი ნება. საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს კანდიდატთა პირადი და საქმიანი თვისებების ყველაზე ფართო, ყოველმხრივი განხილვა კრებებზე და პრესაში, რათა არჩეულ იქნან ყველაზე ღირსეული და ავტორიტეტიანი ადამიანები, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება პარტიისა და ხალხის წინაშე.

დაწყებული საარჩევნო კამპანია ბევრ რამეს ავალებს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. საჭიროა სრულყოფილად გამოვიყენოთ ცხოვრებით შემოწმებული საგიგანტიკო-პროპაგანდისტული მუშაობის ფორმები და მეთოდები, რათა წარმატებით უზრუნველყოთ მოამზადება არჩევნებისათვის. ამავე დროს ფართოდ უნდა გაიშალოს ორგანიზატორულ-ტექნიკური მზადებაც არჩევნებისათვის.

საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ არჩევნებისათვის მზადება და თვით არჩევნები გახდეს ახალი ეტაპი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ცხოვრებაში, ახალი ნაბიჯი სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ხუთწლედი — ვადამდე!

მეშახტეები ტემპს უმატებენ

ტყიბული. (საკ. კორ.). ჩინებულად დაიწყო ხუთწლედის მეოთხე წელი ორჯონიკიძის სახელობის შახტმა (უფროსი ლ. ობოლაძე). აქ დღითიდღე იზრდება სათბობის მოპოვების ტემპი. 106,5 პროცენტი — ასეთია იანვრის პირველი ორი კვირის მუშაობის მაჩვენებელი. ორჯონიკიძელებმა გეგმის გადამეტებით ფაბრიკა-ქარხნებს უკვე გაუგზავნეს 2 ეშელონი ენერგეტიკული ქვანახშირი.

დავალების გადამეტებით დიდძალ „შავ ოქროს“ იძლევიან იმ უბნების კოლექტივები, რომლებსაც ვ. ფანჩულიძე და გ. ონიანი ხელმძღვანელობენ.

შახტის ყველა მიწისქვეშა საწარმოო უბანზე ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მემახტეთა ენთუზიაზმს სათავეში უდგანან მოწინავე ადამიანები, ქვანახშირის მოპოვების გამოცდილი ოსტატები ნ. თევდორაძე, გ. ბასილაძე, ი. მესხორაძე, ა. ხორხომელიძე, გ. ქათამაძე.

სტარტი ჩინებულია

პასანი. აქაური საკონსერვო ქარხანა 55 დასახელების პროდუქციას უშვებს. კასპელ მეკონსერვეთა ნახელავი ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა დიდ ქალაქში იგზავნება.

შარშან ქარხნის 450-კაციანმა კოლექტივმა სასახელოდ იმრომა, და შედეგმაც არ დაგვიანა. გეგმით გათვალისწინებულ 7 მილიონი პირობითი ქილა კონსერვის ნაცვლად გამოშვებულ იქნა 8 მილიონ 365 ათასი ქილა კონსერვი.

სამეურნეო წელი ახალი სამუშაო შემართებით დაიწყეს კასპელმა მეკონსერვეებმა. ა. წიკლაური, მ. გიგაური, დ. კოტაშვილი და სხვები დღიურ სამუშაო დავალებებს 120-125 პროცენტით ასრულებენ.

ვ. ყუშიტაშვილი.

გრაფიკს უსწრებენ

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ლენინურ ვახტს სასახელოდ ეწევა მინის ტარის ქარხნის კოლექტივი, რომელიც ხუთწლედის მეოთხე წლის დამდეგიდანვე, გრიგალისაგან მიყენებული ზიანის მიუხედავად, რიტმულად მუშაობს და გრაფიკს უსწრებს. აქ გეგმით გათვალისწინებულ 331 ათასი ქილის ნაცვლად ყოველდღიურად 370-400 ათას ცალ მინის ქილას უშვებენ.

ვახტზე პირველობას არავის უთმობს საღუმელე-სამანქანო საამქროს კოლექტივი, რომელსაც გამოცდილი სპეციალისტი ირ. კვიუნაძე უძღვება.



ლენინურ ეტაპზე ვიბრძოლოთ

ხარისხი — მთავარი საზრუნავი

გასულ წელს ლაიფციგის ბაზრობაზე თბილისის სახელი ჩარხების ქარხანაში დამზადებულმა პროდუქციამ — ზემაღალი სიზუსტის მრგვლად სახეხმა ჩარხებმა დამთვალიერებელთა და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ეს შემთხვევითი მოვლენა როდი იყო. სახეხი ჩარხების ქარხნის კოლექტივი, რომელიც განუხრელად ზრუნავს პროდუქციის ხარისხისათვის, წარმოებაში ნერგავს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს და მეცნიერებასთან მჭიდრო ურთიერთობის შესანიშნავ მაგალითს აძლევს სხვა საწარმოებს. უკანასკნელ ხანს ქარხანაში ათვისებულ იქნა ორი ახალი ჩარხი. ისინი მაღალი სიზუსტით გამოირჩევიან და მსოფლიო სტანდარტების დონეზე დგანან.

ამ ჩარხებისა და ქარხნის კოლექტივის სხვა პროდუქციის დამზადებაში დიდი როლი შეასრულა წარმოებაში ტექნიკის ისეთი უახლესი მიღწევის დანერგვამ, როგორიც არის უნივერსალური ასაწყობი სამარჯვი, რომელმაც საწარმო გაათავისუფლა მრავალი ნამარჯვი იარაღის დამზადებისაგან და მკვეთრად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ამჟამად უნივერსალური სამარჯვით საწარმოში ასზე მეტი რთული ოპერაცია სრულდება.

ეს მიღწევები ქარხანაში ერთეული როდია. ამჟამად აქ დიდ სამუშაოებს აწარმოებენ ერთ-ერთი მთავარი საკითხის — შეიახლის პროცესის გაუმჯობესებაზე. უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები.

— ვემზადებთ რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, — თქვა ჩვენთან საუბარში ქარხნის დირექტორმა ლ. ბოგიჩაძემ, — ვცდილობთ სულ უფრო თამამად დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევები, რაც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დიდი საშუალებაა. მიმდინარე წელს დეტალების მექანიკური დამუშავებისათვის დავნერგავთ 100 უნივერსალურ ასაწყობ სამარჯვს. მეორე კვარტალში ყველა საამქროში და უბანზე შემოვიღებთ პროდუქციის პირველი წარდგენისთანავე ჩაბარების სისტემას, სისტემატურად მოვაწყობთ „ხარისხის დღეს“.

რ. ჭელიძე.
„კომუნისტის“ კორ.

ახალი წლის ჯილდოებისა

ბორჯომის საკონსერვო ქარხნის (დირექტორი პ. ცანავა) კოლექტივმა მომხმარებელს გაუგზავნა 6 მილიონ 834 ათასი ქილა კონსერვი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6 მილიონ 800 ათასისა.

წელს სოხუმის-მარკის 40 ათასზე მეტი ქილა კომშის, მანდარინის, მურაბის, პაციდლოს, ადგილთა საკონდიტრო ფაბრიკებისათვის ციტრუსების ნახარშის პირველი პartია უკვე გაიგზავნა მოსკოვის, ხარკოვის, სვერდლოვსკის, იაროსლავლის და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მისამართით.

ამ დღეებში განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად შრომობენ და დავალებას 120-130 პროცენტით ანაღლებენ ქარხნის მოწინავე ადამიანები თ. ჯანაშია, ა. ტაჩჩენკო, ლ. ალანია, მ. ძიძარია, ვ. ბოხდარენკო.

ქარხნის მომავალი

ადიდარი რევოლუციური ტრადიციები აქვს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას. აქ იქმნებოდა პირველი მარქსისტული წრეები საქართველოში. თავის დროზე ქარხანაში მუშაობდნენ დიდი პროლეტარული მწერალი ა. მ. გორკი, მ. ი. კალინინი. აქ მრავალი რევოლუციონერი გამოიწვრთო.

ქარხანა ყოველთვის ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ცხოვრებას, ახლა წარსულს ბარდებიან ორთქლმავლები და ქარხანა მალე იცვლის პროფილს, მოხდება არა მარტო ძველი საამქროების სრული რეკონსტრუქცია, არამედ აშენდება ახლებიც. ყველა ეს სამუშაო 1972 წლისთვის დამთავრდება და მაშინ საწარმო შეიკეთებს ელექტრომავლებს, სავაგონო სექციებს, მეტროს ვაგონებს. სურათებზე: მარცხნივ — ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე კ. შენგელია და საუშაოთა მწარმოებელი ბ. პეტრენკო ახალი მშენებლობის პროექტს ეცნობიან. ზემოთ — მოძრავი შემადგენლობის შემკეთებელი საამქროს მშენებლობის ხედი.

ფოტო ს. თევზაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მის აღმატებულებას რიჩარდ მ. ნიქსონს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

ვაშინგტონი, თეთრი სახლი.

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

მიიღეთ ჩვენი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტის დაკავების გამო.

დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის ჩვენი ორი სახელმწიფოს მისწრაფებანი მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ განვამტკიცოთ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა მეგობრული ურთიერთობა და რომ სხვა სახელმწიფოებთან ერთად გაერთიანებული მეცადინეობით საბჭოთა კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა ყველაფერი უნდა იღონონ მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ა. კოსიგინი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მოსკოვი, კრემლი 1969 წლის 20 იანვარი.

ჯილდო თავდადებული შრომისათვის

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში გადასცეს სიგელები რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ მეცნიერები მოღვაწეები, საბჭოთა, პარტიული, სამედიცინო, პროფკავშირული, სამეურნეო და საფინანსო დარგის მუშაკები. ისინი აქ მოვიდნენ ჯილდოების მისაღებად, რომლებიც დაინსაურეს ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კპპაბაძემ წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. მ. ლელაშვილმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები და მედალი „წყალწყლებულთა გადარჩენისათვის“ გადასცა მშრომელთა დიდ ჯგუფს.

ჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკმა დ. ი. რომანოვმა, საქვაჭრობის მთავარმა ბუღალტერმა ნ. შ. ბუნიამ, პროფესორმა დ. მ. გელოვანმა, თბილისის მე-7 კლინიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ვ. თ. ზაქარიაძემ, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის შეფასებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. მ. ლელაშვილმა გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ, აგრეთვე იმათ, ვინც საპატიო წოდებანი მიიღო, უსურვა მათ ახალი წარმატებანი მუშაობასა და პირად ცხოვრებაში.

(საქდესი).

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს საფრანგეთის ნინაღადგომას

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, საფრანგეთის მთავრობამ წამოაყენა წინადადება, რომ იანვრის დასაწყისს უშიშროების საბჭოში გაიმართოს სსრ კავშირის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლთა შეხვედრა, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან კონტაქტით გამოიახონ საშუალებანი, რომლებიც ხელს შეიწყობენ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებას ახლო აღმოსავლეთში.

თავის პასუხში საფრანგეთის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობა დათანხმდა ამ შეხვედრის მოწყობაზე. პასუხში ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა იზიარებს საფრანგეთის მთავრობის შეშფოთებას ახლო აღმოსავლეთში ვითარების გამწვავების გამო და აღნიშნავს, რომ საფრანგეთის წინადადება შეესაბამება საბჭოთა კავშირის ხაზსაც დაუყოვნებლივ მიღწეულ იქნას მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგება ახლო აღმოსავლეთში უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესრულების საფუძველზე. (საქდესი).

ხელი მოაწერეს თანამშრომლობის გეგმას

21 იანვარს მოსკოვში ხელი მოაწერეს მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოებისა და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თანამშრომლობის გეგმას 1969 წლისათვის. იგი ითვალისწინებს იმ ერთობლივ ღონისძიებათა ფართო პროგრამას, რომლის მიზანია კომუნისტურ და სოციალისტურ მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებათა ურთიერთგაცნობა.

მომმე საზოგადოებათა მთელი საქმიანობა წელს ჩაივლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღისასწაულისათვის მზადების ნიშნით. სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის 50 წლისთავს. ზეიმით იქნება აღნიშნული აგრეთვე დიდი ოქტომბრის 52-ე წლისთავი, ფაშიზმისაგან უნგრეთის განთავისუფლების 24-ე წლისთავი და სხვა ღირსშესანიშნავი თარიღები. უნგრეთში მოეწყობა „ყაზახური კულტურის დღეები“, ხოლო ყაზახეთში — „უნგრული კულტურის დღეები“.

მეგობრობის საზოგადოებაში დიდ ყურადღებას დაუთმობენ ახალგაზრდობაში მუშაობას, ახალგაზრდობის აღზრდას საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით. (საქდესი).

გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXII სესია

ბერლინი, 21 იანვარი. (საქდესი). დღეს აქ გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXII სესია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების — საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციები. თანახმად ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შეთანხმებისა საბჭოს ორგანოების მუშაობაში იუგოსლავიის მონაწილეობის შესახებ სესიას ესწრება იუგოსლავიის დელეგაცია. მეთვალყურედ სესიაზე არის კუბის რესპუბლიკის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

სესია გახსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჰ. ვე

რაიკომი და უპარტიო აქტივი

ღღეს ისე არ გავიდოდა, რომ პარტიის თეთრი წყაროს რაიკომში რომელიმე კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი არ მისულიყო და არ განეცხადებინა:

— რა ვქნათ, ცხოვრება ამდენ საკითხს აყენებს, რომ იძულებული ვართ თვითეულ კომუნისტს ორი-სამი დავალება მივცეთ; გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ, რომ კომუნისტები ზოგიერთი დავალებისაგან განეტვირთოთ.

ერთ დღეს რაიკომში პარტორგანიზაციების მდივნები მოიწვიეს. აზრთა ურთიერთგაზიარების შემდეგ პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ელოშვილმა განაცხადა:

— არის დავალებები, რომლებიც შეიძლება უპარტიო ამხანაგს ვერ დავაკისროთ მაგრამ არაფერი არ დაშავდება, თუ კი მას აგიტატორად გამოვიყოფთ, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრად ავირჩევთ ან სხვა ერთდროულ დავალებას მივცემთ. მთავარია, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ უპარტიო აქტივთან მუშაობა, მასობრივად ჩაებან ისინი საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მართლაც ამ თათბირის შემდეგ ბევრი საინტერესო რამ გაკეთდა ამ დარგში.

მაგალითად, ახლა ასურეთის კოლმეურნეობის წითელი ჯვრის ორგანიზაციას უპარტიო აქტივისტი ქ. დარიბაშვილი ხელმძღვანელობს, ნ. დემეტრაშვილი კოდის კოლმეურნეობის მოწინავე აგიტატორია, პ. ბეკაურმა კი ხანიმუშად მოიწყო ორბეთის სახმოთა მეურნეობაში საზოგადოება „ცოდნის“ სასოფლო ჯგუფის მუშაობა.

თეთრი წყაროს რაიონში 20 ათასი მშრომელია. მათგან პარტიის წევრი 1.800 კაცია. ცხადია წარმატებები ნაკლები გვექნებოდა, ფართო მასების შემოქმედებითს ინიციატივას რომ არ ვეურდნობოდეთ.

დამახასიათებელია ერთი ასეთი ფაქტი.

სამი წლის წინათ სოფელ კლდეთის რამოჩრენილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ავარჩევად პარტიის რაიკომმა რეკომენდაცია მისცა უპარტიო რ. ჭალიძეს. ეს განათლებული, ენერგიული კაცი მანამდე სათავეში ედგა იმავე კოლმეურნეობის საანგარიშო ნაწილს. ახალგაზრდა თავმჯდომარემ საქმე კარგად დაიწყო, მაგრამ გავიდა ერთი წელი და კოლმეურნეობაში განსაკუთრებული ძვრა არ მომხდარა. ერთ დღეს კოლმეურნეები რაიკომში სჩივრად მოვიდნენ: — ჩვენ ასეთი თავმჯდომარე არ გამოგვადგებაო.

რაიკომის ხელმძღვანელ მუშაკებსა და ინსტრუქტორებს არაერთხელ მოუხდათ მისვლა კოლმეურნეობაში, რომ დაწვრილებით გარკვეულიყვნენ საქმის ვითარებაში. ადგილზე რჩევამ და დახმარებამ გაამხნევა ახალგაზრდა ხელმძღვანელი. შემდეგ იგი გაეცნო მეზობელი სოფლის ირგის მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნ. კუდუყოვის მუშაობის გამოცდილებას.

დღეს კლდეისელი კოლმეურნეები აღარ ემდურიან თავიანთ თავმჯდომარეს. პირიქით, მეურნეობა აღმავლობის გზაზეა და უკვე აქ მოდიან მეზობლები გამოცდილების მისაღებად.

ერთხელ პარტიის რაიკომში ჭორჭიაშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, უპარტიო გ. ბერიძე მოვიდა.

— არ შეიძლება ითქვას ბევრს არ ვმუშაობდეთ, — თქვა მან, — მაგრამ მაღალ მოსავალს მაინც ვერ ვიღებთ. ამის მთავარი მიზეზია ნაკვეთების გაუპროფესიონალება. მატერიალური დაინტერესებლობა. ხომ არ აკობებს ჩვენს პირობებში მიწის ნაკვეთები მოსავლიანად მიეფუჩნოთ ცალკეულ კოლმეურნეებს?

კოლმეურნის აზრი ღრმად აწონ-დაწონეს პარტიის რაიკომში. მოწვეულ იქნა ჭორჭიაშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება. ყველა კოლმეურნემ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ამ წინადადებას. რაიკომში სპეციალურად მოწვეულ თათბირზეც იყო ამის შესახებ მსჯელობა.

— ამ ახალმა ღონისძიებამ კოლმეურნეთა დიდი შრომითი აქტივობა გამოიწვია. — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ბეკაური.

შარშან პარტიის რაიკომის მეორე მდივანი დ. ჩომახაშვილი მაგლისის მერძევეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობაში ასეთ ფაქტს შეხვდა: მეათეკლასელ ნ. მიგრაიულს გადაწყვეტა საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე შეედგინა თანაკლასელთა ბრიგადა, რომელიც ბერითად იშრომებდა ფერმაში. ახალგაზრდას მოუწონეს ეს თაოსნობა.

მალე რაიკომში შეიმუშავეს ახალგაზრდული ბრიგადისადმი დახმარების კონკრეტული გეგმა. ამასთან გადაწყდა, რომ ეს ყოფილიყო არა მარტო ახალგაზრდული, არამედ რძის მაღალი წველადობის ბრიგადა.

— საჭიროა ისე მოეწყოს საქმე, — თქვეს პარტიის რაიკომში, — რომ ყველა კოლმეურნეობაში შეიქმნას ასეთი ახალგაზრდული ბრიგადები, რომლებსაც ყოველდღიურ, საქმიან დახმარებას გაუწევენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

უპარტიო აქტივთან მუშაობის საუკეთესო ფორმას წარმოადგენს ამ ბოლო დროს რაიკომის მიერ პრაქტიკაში შემოღებული ლეკწმრსილი კოლმეურნეთა იუბილეების მოწყობა. დიდი ხანი არ არის, რაც ასეთი იუბილე გადაუხადეს ალგეთის კოლმეურნეობის მწყვეტს კ. ზაბნინას, რომელმაც თავისი მუშაობის მანძილზე მოწვეული ერთ მილიონზე მეტი ლიტრი რძე.

კარგი შედეგი მოსდევს რაიკომის მიერ უპარტიო აქტივისათვის, რაიონის მშრომელებისათვის საღამოების, შეხვედრების, ლექციების, მოხსენებების და სხვა ღონისძიებების მოწყობას.

უპარტიო აქტივთან მჭიდრო კავშირისა და მასზე დაყრდნობის პირდაპირი შედეგია, რომ რაიონმა საპატიო ადგილი დიაკავა მოწინავეთა რიგებში. უკანასკნელ ორსამ წელიწადში აწარმოეს და სახელმწიფოს მიეყიდეს 2-ჯერ მეტი ხორცი, რძე, კვერცხი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები.

თეთრწყაროელი კოლმეურნეები წელს ახალი მიწნების ასალად ეშოლდებიან.

ისინი ნაკისრ ვალდებულებებს აუცილებლად გაანაღდებენ, თუ პარტიის რაიკომი კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს რაიონის მშრომელებს და შემოქმედებითად გამოიყენებს მათთან მუშაობის ნაცად ფორმებსა და მეთოდებს.

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის“ სპ. კორ.

ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პარტიულ ორგანიზაციაში პოლიტიკური განათლებას იმაღლებს 200-ზე მეტი ადამიანი. აქ შექმნილია ხუთი დაწყებითი პოლიტიკური სკოლა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სამი სკოლა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელი სემინარი. სურათზე: პროპაგანდისტები (მარცხნიდან მარჯვნივ) ვ. ბუსკაიძე, კ. ზამთარაძე და ხ. ჯინჯოლია პოლიტიკური განათლების კაბინეტში მორიგი მეცადინეობისათვის ემზადებიან.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდისს ფოტოქრონიკა).

ქრონიკა

პოლიტინფორმატორთა საქალაქო კონფერენცია

ბათუმი, (საკ. კორ.). ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ პოლიტინფორმატორთა მუშაობის გაუმჯობესებას, მათს მომზადებას. საუბრების იდეური დონის ამაღლებას.

ამ დღეებში მოეწყო პოლიტინფორმატორთა საქალაქო კონფერენცია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. კოსლატაძემ.

ბათუმის საქალაქო კომიტეტის ლექტორმა ნ. გელბაკმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე“.

კონფერენციის მონაწილეებს თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს გემთმშენებელი ქარხნის დირექტორმა ე. მალეზონიამ, ნავთობგადასამუშავებელ ქარხნის პოლიტინფორმატორმა ა. გაბუნიამ, ელექტრომექანიკური ქარხნის პოლიტინფორმატორმა მ. რუდენკომ, ბათუმის ნავსადგურის პოლიტინფორმატორმა ბ. ფშანავამ და სხვებმა.

აქტივის კრებაზე

გაიმართა საქართველოს კპ ლენინურის ლაინონული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელზეც მოისმინა პარტიის რაიკომის პირველი მდივანის დ. სიბაშვილის მოხსენება რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ ბ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ვ. ჩიაშუამ, აკინის კოლმეურნეობის მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა შ. ჩხაიძემ, ავტოსატრანსპორტო კანტორის დირექტორმა ე. შევარდნაძემ, ქვემო აკვეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ღლონტმა, საწარმოო საამქროების უფროსის მოადგილემ ა. მენაღარიშვილმა, კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. გუგუშავამ და სხვებმა.

პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა „რაიონის მშრომელთა სახელით ვალდებულება იკისრეს ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდმნიშვნელოვან თარიღს.

უ. შეფირული.

ლენჩხუთის რაიონულ რადიოგადაცემათა კორესპონდენტ-ორგანიზატორი.

პარტიული მუშაობის სრულყოფისათვის

მახარაძე. (საკ. კორ.). ამას წინათ საქართველოს კპ მახარაძის რაიკომმა მოაწყო თეორიული კონფერენცია თემაზე: „პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ლენინური სტილის, ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის“.

კონფერენციას ესწრებოდნენ რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები და მათი მოადგილეები. კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს: მ. ლომაძემ (პარტიის რაიკომის მეორე მდივანი), ა. ფავანაძემ (სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე), მ. ბელიაძემ (პარტიის რაიკომის სოფლისმეურნეობის განყოფილების გამგე) და სხვებმა.

გაზაფხული შორს არ არის!

მეჩიი ყურადღება თესვისათვის თესლის მომზადებას

ხალხური სიბრძნე გვასწავლის: **„რასაც დასთეს, იმას მოიმკი“.**

და მართლაც, თესვისათვის თესლის მომზადება, რაც ითვალისწინებს მის გაწმენდას, შენახვასა და ანალიზს, ერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა მომავალი თესვისათვის მიწათმოქმედთა ზრუნვის რგოლში.

როგორ ამზადებენ რესპუბლიკის რაიონებში საგაზაფხულო სამარცვლე და პარკოსანი კულტურების თესლს?

ამას ასახავს აქ გამოქვეყნებული ცხრილი.

თესვისათვის გამზადებული კონდიციური თესლი არის მხოლოდ 42,2 პროცენტი. ეს ცოტაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე არც თუ ისე დიდი დროა დარჩენილი.

გეგმის მიხედვით რესპუბლიკაში საგაზაფხულო თესვისათვის დაგვჭირდება სამარცვლე და პარკოსანი კულტურების 167.010 ცენტნერი თესლი. 15 იანვრისათვის მეურნეობებში გამოყოფილია მხოლოდ 119.562 ცენტნერი. კონდიციური თესლის მომზადება და მისი შენახვა ხელტემპით მიმდინარეობს **ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ქარელის, გარდაბნის, ბორჯომის, ბოლნისის, დმანისის, თიანეთისა და სხვა** რაიონების, **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ცხრილში არ არის მოყვანილი ცნობები, თუ როგორ ამზადებენ სიმინდის თესლს თესვისათვის. მეურნეობებში გამოყოფილია 95.470 ცენტნერი სათესი მასალა ნაცვლად გათვალისწინებული 91.437 ცენტნერისა, გაანალიზებულია 95.482 ცენტნერი. კონდიციური აღმოჩნდა 82.226 ცენტნერი, ანუ 89,9 პროცენტი. ასე რომ თესვისათვის სიმინდის თესლის მომზადების საქმე შედარებით კარგადაა. მაგრამ თესლის კონდიციის უზრუნველყოფის საქმე უნდა გამთავსწორონ **სიღნაღის** (42,5 პროცენტი), **გარდაბნის** (32,6 პროცენტი), **მცხეთის** (24,3 პროცენტი), **მარნეულის** (40,6 პროცენტი), **დმანისის** (40,8 პროცენტი), **თიანეთის** (22,6 პროცენტი), **მახარაძის** (36,6 პროცენტი) და სხვა რაიონებმა.

საგაზაფხულო სამარცვლე და პარკოსანი კულტურების (სიმინდის ჩაუთვლელად) თესლის მომზადების მიმდინარეობა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1969 წლის 15 იანვრისათვის (ცენტნეროგით)

რაიონების დასახელება	გეგმა	შესაბამება	ანალიზზე ნაკლები	კონდიციური	პროცენტი
ახალქალაქის	48922	37751	31195	27712	56,5
ბოგდანოვკის	28287	25025	25025	12159	21,7
ახალციხის	2878	2186	2156	1156	43,2
ადიგენის	1177	671	568	492	41,2
ასპინძის	2520	2621	2606	1201	42,6
ხაშურის	399	424	424	401	100,5
ქარელის	3982	3060	2770	1237	31,0
გორის	855	994	994	994	116,2
კასპის	3228	1825	1825	855	25,7
ბორჯომის	2607	886	886	766	29,4
საგარეჯოს	1275	1435	1365	1360	106,6
გურჯაანის	276	273	248	47	17,0
სიღნაღის	1330	1531	1440	810	60,4
წითელწყაროს	1156	1232	1231	481	37,2
თელავის	18	18	18	14	77,7
ახმეტის	1019	70	70	70	6,8
ყვარლის	252	252	252	252	25,8
ლაგოდეხის	—	—	—	—	—
გარდაბნის	2528	2126	1924	723	28,6
მცხეთის	1008	184	184	154	18,2
მარნეულის	814	214	214	0	0
გოლნისის	1084	600	600	550	50,7
წალკის	18040	18456	16429	10104	56,0
დუშეთის	450	454	454	454	100,8
თეთრიწყაროს	2885	2984	2970	1040	36,0
დმანისის	4124	3216	3148	1320	32,7
თიანეთის	3355	2005	2005	1410	42,0
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის	10848	3203	3300	1201	11,0
წყალტუბოს	109	344	344	344	315,6
სამტრედიის	108	47	47	13	12,0
წულუკიძის	9	9	9	9	100,0
ვანის	100	102	102	80	80,0
მაიაკოვსკის	—	—	—	—	—
ჩესტაფონის	—	—	—	—	—
თერჯოლის	—	—	—	—	—
ჭიათურის	370	262	285	205	55,4
საჩხერის	1250	842	842	590	47,2
ორჯონიკიძის	202	175	175	175	86,6
ტყიბულის	—	—	—	—	—
ონის	765	367	449	289	37,8
ამბროლაურის	192	371	329	329	171,3
ცაგერის	570	459	459	174	30,5
ლენტეხის	410	158	158	127	30,9
აბაშის	36	14	14	14	38,9
ცხალთუბოს	24	—	—	—	—
გეგეჭკორის	68	—	—	—	—
ზუგდიდის	138	37	37	37	26,8
ხობის	82	82	59	59	71,9
ფალენჯიხის *)	26	22	22	22	84,6
ჩხოროწყუს *)	58	12	12	12	20,7
მახარაძის	1158	47	47	0	0
ლანჩხუთის	71	12	12	0	0
ჩოხატაურის	48	50	50	50	104,1
მესტიის *)	894	895	895	16	17,9
აფხაზეთის ასსრ	3282	1164	1069	685	20,8
აჭარის ასსრ	1627	275	275	275	16,9
ს უ ლ:	167010	119562	109158	70434	42,2

*) 1969 წლის 1 იანვრის მონაცემები. (საქდესი).

ასე ემზადებიან იუბილესათვის

ლენინური კითხვის საღამო

● ზესტაფონი. (საკ. კორ.). სოფელ ტაბაკინში გაიმართა ლენინური კითხვის საღამო, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორმა ბ. მარიტიძემ წაიკითხა ლექცია თემაზე — „ლენინური ეროვნული პოლიტიკა, სოციალისტური ერების დაახლოება-აუცვლება“.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეკემბრის სესიების მასალებზე — 1969 წლის სახელმწიფო გეგმებსა და მიწის კანონმდებლობის საფუძვლებზე დამსწრეებს ესაუბრნენ პოლიტინფორმატორები გ. აბრამაშვილი და ო. გაფრინდაშვილი.

ლენინური კითხვის საღამომ შინაარსიანად ჩაიარა.

გამოფენა გიბლიოთეკაში

● ხაშური. რკინიგზის ბიბლიოთეკაში გაიხსნა ილეთი ბიბლიოთეკა-ბიბლიოგრაფია ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისათვის. მოწყობილია ლიტერატურის, გამოთვენა, ფოტოსტენდი, რომელშიც ასახავენ დიდი ბელადის ცხოვრებას და მოღვაწეობას, ტარდება საუბრები.

დ. ფარეშეშოვი.

სახალხო დოვლათის მტაცებელნი — სამსჯავროზე!

გაეაძლიეროთ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან

◆

ბა არ გამოუთხოვია, ხოლო შრომის წიგნაკი, რომელიც ამ უკანასკნელმა წარადგინა, ყალბი აღმოჩნდა. ლამბიამ აქაც დაუშვა დიდი ღირებულების სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი.

საგაკვრო ორგანიზაციების ხელმძღვანელების მხრივ დაუდევრობისა და უკონტროლობის გამო ლაშხიას თაღლითობა ძალიან ძვირად დაუჯდა სახელმწიფოს. მის მიერ მოყვანილი ზარალი 30 ათას მანეთს აღემატება.

დატაცებას ბევრად უწყობს ხელს კანონის იმ მოთხოვნის დარღვევა, რომ საგამომძიებლო ორგანოებს 5 დღის განმავლობაში გადაეცეს მასალები იმ პირებზე, რომლებიც ფასეულობათა დანაკლისს დაუშვებენ. ეს უკანასკნელნი სარგებლობენ წყაურუებით და კიდევ უფრო შორს მიდიან, უფრო და უფრო მეტ ზარალს აყენებენ სახელმწიფოს. ამის მაგალითი ილუსტრაცია რომ მოვნახოთ, შორს წასვლა როდი დაგვჭირდება. გულრიფშის რაიონის აჯარის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების № 2 სასადილოს გამგემ მოქალაქე ტ. კ. ნარსავიძემ სწორედ წაყრუების გამო დაუშვა ფასეულობათა დანაკლისი, რაც 10 ათას მანეთს აღემატება.

მიუხედავად იმისა, რომ სასადილოს მიღება-გადაცემისას 1968 წლის 10 ივლის ხსენებული დანაკლისი გამოვლინებულ იქნა, მასალები საგამომძიებლო ორგანოებისათვის 1968 წლის 23 აგვისტომდე არ გადაუციათ. საბოლოო ანგარიშით ეს მასალები მილიციის რაიონული განყოფილების მუშაკებმა აიღეს, და აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე.

ბევრ რამეში ბრალი მიუძღვით ანგარიშწარმომეობის მუშაკებსა და კომისიებს, რომლებიც მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციას აწყობენ.

როგორც საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკამ დაგვანახვა, ბევრ სავაჭრო დაწესებულებაში დატაცება სხვადასხვა ხრიკის გამოყენებით მთელი რიგი წლების განმავლობაში გრძელდებოდა. დამტაცებლები ანერხებენ თავი დაღწონ მხილებას ფასეულობათა აღწერების მოყენებით, ზოგჯერ კი მანკიერი პრაქტიკის გამო. ბევრი ინვენტარიზატორი საქონლის დათვლას ანდობს იმ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, რომელთა [illegible] — ამ აღწერით ხდება ის უარასრული, რომლებიც [illegible] ... ბევრ [illegible] კონტროლი სწორად არის [illegible] ბული, დატაცების შემთხვევები ცოტაა, ღა, პირიქით, კონტროლის ცუდად მოწყობა, როგორც წესი, იწვევს ფასეულობათა დატაცებას.

დამახასიათებელი მაგალითია სისხლის სამართლის საქმე, გალის მილიციის რაიონულმა განყოფილებამ რომ აღძრა ფასდაკლებული საქონლის მაღაზიის გამგის ლაშხიას მიმართ, რომელმაც დაუშვა დანაკლისი.

აჩიგვარის მუშათა კოოპერატივის ყოფილმა ხელმძღვანელობამ ლაშხია სამუშაოდან მიიხსნა, მაგრამ მის ადგილას დანიშნა... მისი ცოლი კეთილაძე. ეს უბრალო ფორმალობა იყო — მუშაობას იგივე ლაშხია გაგაგრძობდა. მალე მილიციის რაიონულ განყოფილებაში აჩიგვარის სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებიან ნიკიფორ ზერიანი, რომელშიც ოხოულობდნენ ეენობებინათ, თუ როგორ მიმდინარეობდა ლაშხიას საქმე. უცნაურია, მაგრამ მილიციის რაიონული განყოფილებიდან, სადაც საგამომძიებლო ჯგუფში იდო სისხლის სამართლის საქმე, რომელიც შეჩერებული იყო იმ მოტივით, რომ ლაშხია სამკურნალოდ არის წასულია, სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებას უპასუხეს, ლაშხიას მაკომპრომეტირებელი მასალები არ არსებობ. ასეთი პასუხი საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ლაშხია კვლავ განმხდარიყო მაღაზიის გამგე. ინვენტარიზაციის დროს მან თავი აარიდა საქონლის აღწერას. ლაშხიას მოძებნისათვის რეალური ზომები არ მიუღიათ, საქმე კი შეჩერებულ იქნა. მალე ლაშხია დაინიშნა ჰესების № 6 მაღაზიის გამგედ და ბრიმორსკოეში, ე. ი. იმავე გალის რაიონის მეორე მხარეს. ამასთან მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსს ამბ. ქორთუშვილს ლაშხიას უკანასკნელი სამუშაოდან მისი დახასიათებაში ჰეხონელიძემ მხოლოდ მეორედ დადო შეტყობა.

სოციალისტური საკუთრების დატაცების აღკვეთასა და აღმოფხვრაში დიდ როლს ასრულებს საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელობისა და ანგარიშწარმოების მუშაკების მიერ კონტროლის განხორციელება. ბევრ დაწესებულებაში, [illegible] კონტროლი სწორად არის [illegible] ბული, დატაცების შემთხვევები ცოტაა, ღა, პირიქით, კონტროლის ცუდად მოწყობა, როგორც წესი, იწვევს ფასეულობათა დატაცებას.

დამახასიათებელი მაგალითია სისხლის სამართლის საქმე, გალის მილიციის რაიონულმა განყოფილებამ რომ აღძრა ფასდაკლებული საქონლის მაღაზიის გამგის ლაშხიას მიმართ, რომელმაც დაუშვა დანაკლისი.

აჩიგვარის მუშათა კოოპერატივის ყოფილმა ხელმძღვანელობამ ლაშხია სამუშაოდან მიიხსნა, მაგრამ მის ადგილას დანიშნა... მისი ცოლი კეთილაძე. ეს უბრალო ფორმალობა იყო — მუშაობას იგივე ლაშხია გაგაგრძობდა. მალე მილიციის რაიონულ განყოფილებაში აჩიგვარის სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებიან ნიკიფორ ზერიანი, რომელშიც ოხოულობდნენ ეენობებინათ, თუ როგორ მიმდინარეობდა ლაშხიას საქმე. უცნაურია, მაგრამ მილიციის რაიონული განყოფილებიდან, სადაც საგამომძიებლო ჯგუფში იდო სისხლის სამართლის საქმე, რომელიც შეჩერებული იყო იმ მოტივით, რომ ლაშხია სამკურნალოდ არის წასულია, სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებას უპასუხეს, ლაშხიას მაკომპრომეტირებელი მასალები არ არსებობ. ასეთი პასუხი საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ლაშხია კვლავ განმხდარიყო მაღაზიის გამგე. ინვენტარიზაციის დროს მან თავი აარიდა საქონლის აღწერას. ლაშხიას მოძებნისათვის რეალური ზომები არ მიუღიათ, საქმე კი შეჩერებულ იქნა. მალე ლაშხია დაინიშნა ჰესების № 6 მაღაზიის გამგედ დაბა პრიმორსკოეში, ე. ი. იმავე გალის რაიონის მეორე მხარეს. ამასთან მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსს ამბ. ქორთუშვილს ლაშხიას უკანასკნელი სამუშაოდან მისი დახასიათებაში ჰეხონელიძემ მხოლოდ მეორედ დადო შეტყობა. ეს [illegible]

[illegible] ... ბევრ [illegible] ... ბა. ... ბ [illegible] ... ბ [illegible] ... ბ [illegible]

ე. ი. ჩერქეზია

მოულოდნელად გარდაიცვალა სკკპ წევრი 1922 წლიდან, რესპუბლიკის ერთ-ერთი უხუცესი პარტიული მუშაკი ევტიხი ილარიონის-ძე ჩერქეზია.

ე. ი. ჩერქეზია მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თავდადებულად და ერთგულად ემსახურებოდა კომუნისტური პარტიის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნისა და განვითარების საქმეს.

ე. ი. ჩერქეზია დაიბადა 1899 წელს ყოფილი ქუთაისის მაზრის სოფელ ქუტირში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ჯერ კიდევ უმაწვილი იყო, როცა დაიწყო მუშაობა ოსტატის მოწაფედ თბილისის სპილენძსაგლინავ ქარხანაში და დაუახლოვდა რევოლუციური ახალგაზრდობის წარმომადგენლებს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ე. ი. ჩერქეზია შედის წითელი არმიის რიგებში, მის ნაწილებში ეწევა აქტიურ პარტიულ, პოლიტიკურ მუშაობას.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ე. ი. ჩერქეზია განაგრძობს პარტიულ საქმიანობას. 1931 წლიდან იგი მუშაობს პასუხსაგებ თანამდებობებზე პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის აპარატში. 1938 წელს მას ირჩევენ პარტიის კიროვის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად, 1939 წელს — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მესამე მდივნად, შემდეგ კი — მეორე მდივნად. 1953 წლიდან 1959 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე, იგი მუშაობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრად.

ე. ჩერქეზია არაერთხელ ყოფილა არჩეული ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების შემადგენლობაში, იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და რაიკომების წევრი, საქართველოს სსრ ორი მოწვევის უმაღლესი საბჭოსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

ე. ი. ჩერქეზიას დამსახურება დიდად შეაფასა სახელმწიფომ. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით.

ე. ი. ჩერქეზია გამოირჩეოდა დიდი პრინციპულობით, გულისხმიერებით, დიდი კულტურით, თავმდაბლობით და საქმის ღრმა ცოდნით, რამაც დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა მოუპოვა.

ევტიხი ილარიონის-ძე ჩერქეზიას ნათელი ხსოვნა, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე და ცოდნა მოახმარა პარტიისა და ხალხის საქმეს, მუდამ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუნიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ქოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯაფარიშვილი, მ. ი. კუშავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, შ. ე. ბუხრაშვილი, გ. დ. გაგუნია, დ. ვ. გელაშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, თ. ი. მოსაშვილი, თ. პ. სტეპჩენკო, ი. რ. ხვედელიანი, ვ. ნ. ხოდელი, კ. ვ. ცქიტიშვილი, ვ. ა. ჩოფიკაშვილი, ი. ა. შევარდნაძე.

ე. ი. ჩერქეზიას დაკრძალვის მომწყობი კომისია

შეიქმნა ე. ი. ჩერქეზიას დაკრძალვის მომწყობი კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან: ამხანაგები დ. ვ. გელაშვილი (თავმჯდომარე), ვ. ა. საქსაგანსკი, გ. თ. ხომერიკი, ვ. ა. ჩოფიკაშვილი, ი. ა. შევარდნაძე.

ვ. ი. ჩერქეზიას დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

ე. ი. ჩერქეზიას დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

პანაშვიდი გაიმართება განსვენებულის ბინაზე — პლეხანოვის პროსპექტი № 147, 22 იანვარს საღამოს 7 საათზე.

გამოსვენება 23 იანვარს დღის 4 საათზე.

დაკრძალვა — საბურთალოს სასაფლაოზე.

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ბელორუსიის პარტიზანის მოწმობის გაცემის რესპუბლიკური კომისიის ცნობა

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში იწყება პარტიზანის მოწმობის გაცემა იმ პირებისათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ ბელორუსიის პარტიზანულ და ანტიფაშისტურ მოძრაობაში დიდი სამამულო ომის წლებში.

ბელორუსიის პარტიზანის მოწმობა მიეცემა პირებს, რომლებსაც აქვთ ოფიციალური დოკუმენტები იმის შესახებ, რომ მონაწილეობდნენ ბრძოლაში გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბელორუსიის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე დიდი სამამულო ომის წლებში.

ოფიციალური დოკუმენტებია:

ა) ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის (ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტარქივის) საარქივო ცნობა;

ბ) სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივის ცნობა;

გ) ბელორუსიის პარტიზანული მოძრაობის შტაბის ცნობა;

დ) სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური არქივის ცნობა;

ე) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ცენტრალური არქივის ან ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივის ცნობა;

ვ) სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს არქივის ცნობა.

პირველმა, რომლებიც ბელორუსიის სს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ, მაგრამ მონაწილეობდნენ პარტიზანულ მოძრაობაში ბელორუსიის ტერიტორიაზე, პარტიზანის მოწმობის მისაღებად უნდა მიმართონ იმ რაიონის (ქალაქის) კომისიას, რომლის ტერიტორიაზე მოქმედებდა პარტიზანული ნაწილი (ჯგუფი, რაზმი, ბრიგადა, შენაერთი) ან იატაკქვეშა ორგანიზაცია დიდი სამამულო ომის წლებში; ამ პირებმა პარტიზანულ ან იატაკქვეშა მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ უნდა წარადგინონ ცნობა და ორი ფოტოსურათი 2X3 სანტიმეტრზე.

პარტიზანის მოწმობა მიეცემათ პარტიზანული მოძრაობის მონაწილეებს პირადად კომისიისათვის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის (პასპორტის, პირადობის მოწმობის, სასოფლო საბჭოს ცნობის) წარდგენის დროს, ან ეს მოწმობა შეიძლება გადაეცეთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონულ ან საკალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს ხელწერილით. ეს ხელწერილი ეგზავნება კომისიას, რომელმაც გასცა პარტიზანის მოწმობა.

თუ ომისშემდგომი წლების მანძილზე პარტიზანული მოძრაობის მონაწილემ შეიცვალა გვარი, პარტიზანის მოწმობა, გაიცემა ახალ გვარზე, ხოლო ფრჩხილებში მითითებული უნდა იყოს წინანდელი გვარი, რომლითაც იგი ირიცხებოდა პარტიზანულ რაზმსა თუ იატაკქვეშა ორგანიზაციაში. ამ შემთხვევაში კომისიას უნდა წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები (ქორწინების მოწმობა და სხვ.), რომელთა პირებს დაურთავენ კომისიის საქმის წარმოებას.

ბელორუსიის პარტიზანის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში არ შეიძლება დუბლიკატის ან მოწმობის განმეორებითი გაცემა.

ნეირონების მეზსიერება

ნეიროფიზიოლოგთა გაგრის საუბრებზე

გაგრა, 21 იანვარი. (საქდესის სპეციალური კორესპონდენტი ს. შუღლი). აქ მუშაობას განაგრძობს სიმპოზიუმი მეხსიერების ატ ტეალურ პრობლემებზე. სიმპოზიუმში ნეიროფიზიოლოგებთან ერთად მონაწილეობენ ფსიქოლოგები და ბიოქიმიკოსები.

სიმპოზიუმის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო მოსკოველი პროფესორის ე. ნ. სოკოლოვის ნაშრომმა, რომელმაც გამოიკვლია ნეირონების დამახსოვრების უნარი. მეცნიერმა გამოიტანა დასკვნა, რომ ნერვული უჯრედს შეუძლია შეინარჩუნოს ელექტრობით გაღიზიანების კვალი. ელექტრობა უშუალოდ მის სხეულში შეაყავთ მიკროელექტროდის საშუალებით. დამახსოვრება დაკავშირებულია იმასთან, რომ უჯრედის ნივთიერება ეჩვევა გაღიზიანებას. ეს ვლინდება ელექტროორხევის მუდმივი შენელებით. როგორც მოლუსკების ნეირონებზე წარმოებულმა ექსპერიმენტებმა ცხადყვეს, ელექტროორხევის შენელების ეს პროცესი იმის მედეგი როდია, რომ ნერვული უჯრედი გამოფიტვის გამო კარგავს რეაგირების უნარს. დადგენილია, რომ უჯრედის გაღიზიანების უნარი დამოკიდებულია ნეირონის მემბრანის გარკვეულ ნაწილზე. უჯრედის ეს ნაწილი აწარმოებს რიტმულად ნელ ბიოელექტრულ რხევებს.

მეცნიერი კვლევას აწარმოებდა ელექტროფიზიოლოგიური მეთოდით.

პროფესორმა სოკოლოვმა ცხადყო, რომ მეხსიერების მექანიზმებში მონაწილეობენ არა მარტო სინაფსები (ნერვულ უჯრედს შორის არსებული კონტაქტები), არამედ საკმაოდ დიდ როლს ასრულებს აგრეთვე ნეირონის უჯრედების სტრუქტურაც. ამრიგად, ერთ ნერვულ უჯრედშიც კი არსებობს დამახსოვრების პროცესში მონაწილე სხვადასხვა არე.

გაგრის საუბრები, რომლებიც ეწყობა აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის იმიჯატივით, სამეცნიერო წრეების ფართო ინტერესს იწვევს. მორიგი სიმპოზიუმის მოწყობა გათვალისწინებულია ტრადიციულად გაგრაში 3-4 წლის შემდეგ. (საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲘ

რიჩარდ ნიქსონმა დაიკავა პრეზიდენტის პოსტი

ვაშინგტონი, 20 იანვარი. (საქდესი). დღეს ვაშინგტონში გაიმართა საზეიმო ცერემონია იმის გამო, რომ რიჩარდ ნიქსონმა დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტი, ცერემონია გაიმართა კაპიტოლიუმის ბორცვზე, სადაც მოვიდნენ პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი, რომელსაც ამ პოსტზე ყოფნის ვადა გაუვადა, და რიჩარდ ნიქსონი. რ. ნიქსონმა ფიცი დადო და შემდეგ წარმოთქვა ტრადიციული სიტყვა.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო მშვიდობის საკითხს. ნიქსონმა აღნიშნა, რომ პირისპირ დგომის პერიოდის შემდეგ იწყება მოლაპარაკების ერა. „ჩვენი მთავრობის საქმიანობის განმავლობაში, — განაცხადა პრეზიდენტმა, — ჩვენი ,,კავშირგაბმულობის ხაზები ღია იქნება". მან მოიწოდა სახელმწიფოთებს ითანამშრომლონ შეიარაღების ტვირთის შემსუბუქებისა და მშვიდობის სტრუქტურის განმტკიცებისათვის.

ნიქსონმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ახლა სულიერ კრიზისს განიცდის. ჩვენ, თქვა პრეზიდენტმა, ვხედავთ, რომ მდიდარი ვართ საქონლით, მაგრამ ღატაკნი სულით; საოცარი სიხარბით ვიღწვით მთვარეს, მაგრამ აქ, დედამიწაზე ვამთავრებენ ურთიერთობათა მსხვრევას ვართ. შეპყრობილი ვართ ომით და მშვიდობა გვეპირდება, ვათავრებენ ვართ და გვეპირდება ერთობა.

შემდეგ ნიქსონი, ვიცე-პრეზიდენტი სირო აგნიო და ახალი მთავრობის წევრები იყენენ საზეიმო, საუზმეზე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შენობაში. ნიქსონის მიერ პრეზიდენტის პოსტის დაკავების ოფიციალურად ვაშინგტონში გაიმართა პარადი.

ცერემონიის დროს განხორციელდა საგანგებო ღონისძიებები პრეზიდენტის უშიშროების უზრუნველსაყოფად. წესრიგის დაცვისათვის ქალაქში მობილიზებული იყო 10 ათასზე მეტი პოლიციელი, დაზვერვის თანამედროვე მიუროსა და საიდუმლო სამსახურის აგენტი.

ჰ. ვილსონის გამოსვლა

ლონდონი, 21 იანვარი. (საქდესი). წლევანდელი წელი მილიონობით ინგლისელ **მშრომელს ვერ მოუტანს მრავალი გადასახადისა და მთავრობის მკაცრი ეკონომიური პოლიტიკის სიმძიმის შემსუბუქებას.** ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა, რომელიც 20 იანვრის საღამოს გამოვიდა სატელევიზიო პროგრამით „პანორამა". მან, კერძოდ, თქვა, რომ მთავრობა არ ითვალისწინებს თავისი ეკონომიური პოლიტიკის რიგი შერბილებას, სანამ ინგლისი ,,ამ მდგომარეობიდან გამოვიდოდეს. ბალანსს. ვილსონი ძალებით იყო ალიარებინა, რომ მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც მშრომელთა ხარჯზე ხორციელდება, მოჰყვა ლიბერალისტული ხელმძღვანელობის პოპულარობის დაკარგვა ქვეყანაში, დაბნეულობა და იმედგაცრუება თვით ლიბერალისტული პარტიის რიგებში.

პრემიერ-მინისტრი აგრეთვე იცავდა ანალი ანტიმუშარი კანონმდებლობის გეგმებს, რომლებიც მოამზადებენ პროფკავშირთა ორგანიზაციის ტაბუ და ბლოკირებ-ლიტერ ,,ინფორმაციის" ,,ინფორმაციის" ,,ინფორმაციის"

ჩვენს ყველა-ჟყველაზე

გვატყობინებენ „კომუნისტის“ და საქდენის კორესპონდენტები

მეტალურგთა სახალხო უნივერსიტეტი

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგთა ქალაქში შეიქმნა კიდევ ერთი კულტურის სახალხო უნივერსიტეტი. მასში ძირითადად მეტალურგები არიან გაერთიანებული.

ამ დღეებში სახალხო უნივერსიტეტმა (რექტორი კ. მუმლაძე) ჩაატარა თავისი მორიგი მეცადინეობა — თემაზე „ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობა“ მოხსენება წაიკითხა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კრიტიკოსმა ბ. ეკენტმა. მსმენელებმა აგრეთვე მოისმინეს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ო. ეგაძის ლექცია „ქართული ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობა“.

კულტურის სახალხო უნივერსიტეტს აქვს ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის სახვითი ხელოვნებისა და კინოს ფაკულტეტები. თვითეული ფაკულტეტი თვეში ერთხელ ატარებს მეცადინეობას. ლექტორებად ძირითადად მოწვეული არიან ჩვენი რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერები.

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის“ ფოსტიდან

მკითხველები გვწერენ

● საქსოფლელეკტრომშენის № 3 სპეციალიზებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივმა გასულ წელს 485 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა, 114,6 პროცენტით გაანადღა წლიური დავალება. გაყვანილ იქნა 54 კილომეტრი მაღალი ძაბვისა და 82 კილომეტრი დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, აქედან 51 კილომეტრი მაღალი ძაბვის ელექტრხაზმა გადასერა მთები და სინათლე ასპინძის რაიონის საზაფხულო საძოვრებზე განლაგებულ ფერმებსაც მიაწოდა: ამ რთული ობიექტის მშენებელი იყო მშენებელ-მემონტაჟეთა ბრიგადა, რომელსაც ვ. ივანინეკ ხელმძღვანელობს. ახლა მშენებელ-მემონტაჟეები ასპინძის, ახალციხის და ბორჯომის რაიონებში მუშაობენ ელექტროგადაცემის ხაზების გაყვანაზე.

შ. მესხი.

● ამას წინათ ქალაქ გალში საექსპლოატაციოდ გადაეცა კიდევ ერთი ახალი სამსართულიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი. იგი ააშენა ვარდნილაძესის სამმართველოს საბინაო მშენებლობის უბნის კოლექტივმა.

ახალ სახლში ახალმოსახლეობა იზეიმა ენგურჰესის მშენებელთა და სპეციალისტთა ოცდახუთამეტე ოჯახმა.

ხ. პაპასყუა.

● ქალაქ ამბროლაურში მწყობრში ჩადგა მდინარე ცხრეულას კეთილმოწყობილი სანაპირო. ქალაქის გარეუბნაში დასასრულს უახლოვდება მშენებლობა დიდი წარმადობის პორის მექანიკური საცხობისა, რომელიც დააკმაყოფილებს რაიონის ყველა სოფლის მომხმარებელს.

ა. კერესელიძე.

● სოფელ ხაბუმის (ჩხოროწყუს რაიონი) კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. დიდი ყურადღება ექცევა საკოლმეურნეო შრომის გეტერანებს. აქ 164 მშრომელი იღებს პენსიას, რომელზეც 24.000 მანეთი იხარჯება. პენსიები აქვთ დანიშნული საკოლმეურნეო მოძრაობის აქტიურ ადამიანებს — იოსებ, დიანოზ და სამსონ შენგელიებს, ვასა ჩიქოვანს, კოსტა და ჩაქერ ძერიებს, სამსონ ვახარიას, მიხეილ ბაანიას და სხვებს.

კოლმეურნეობის გამგეობა ზრუნავს იმისათვის, რომ ვეტერანებმა იგრძნონ პატივისცემა და სიყვარული. შარშან კურორტ მენჯის საგზური მიეცა რამდენიმე პენსიონერ კოლმეურნეს.

ბ. ბულია.

ახალ გინეგში

ტყიბული. (საკ. კორ). ლენინის სახელობის შახტის ტერიტორიაზე კიდევ ერთი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი წამოიმართა. ახალ სახლში მუშახტეთა სამოცმა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა. ნათელი და ფართო ბინა მიიღეს ელმავლის მემანქანემ ვ. გაბელაშვილმა, მჭედელმა ი. ქათამაძემ, მნგრეველმა კ. საპანაძემ, წმენდითი სანგრევის მუშებმა ძმებმა დავით და შოთა გაბელაშვილებმა, სერგო და ვლადიმერ ბაბუხადიებმა, მოწინავე მუშახტემ ა. ხუდიევმა და სხვ.

თბილისის ს. ინაშვილის სახელობის შუ-12 მუსიკალურ სკოლაში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ნორჩ მევიოლინეთა კონცერტები დეკემბერით „გიყვარდეს ვიოლინო“, ასეთი კონცერტები ყოველდღიურად ეწყობა ლენინის მუშათა რაიონის მცხოვრებთათვის. ამ სკოლაში 180 ბავშვი სწავლობს ვიოლინოს დაკვრას.

• • •

სურათზე: სკოლის ნორჩი მევიოლინეები ემზადებიან მორიგი კონცერტისათვის (მარცხნიდან) — მარინე სამხარაძე, ციცინო ბეგლარიშვილი, მარინე ჯიბლაძე, ლალი კობალაძე, ტარიელ ყეენაშვილი, ვლადიმერ ემელიანოვი.

ფოტო ს. კილაძისა.

ნანა

მეტოქეთა მეგობრობა

ვახტანგის სკოლიდან

სსრ კავშირის ახლანდელ ჩემპიონ ნანა ალექსანდრიას აღმზრდელის ხსოვნის ტურნირი.

არის რაღაც უადრესად სამართლიანი ამაში, რომ მემორიალი ვახტანგ ქორსელაძისა, რომელიც უდროოდ წავიდა, ცხოვრებიდან ამ ორი წლის წინათ, დაემთხვა ნიჭიერი მწვრთნელის — და არ შეშინდება არ გავიხსენო — შესანიშნავი ადამიანის, ერთ-ერთი საყვარელი მოწაფე ქალიშვილის გამარჯვებას.

არის ასეთი ცნება — სპორტული სიყვარული. ეს სასარგებლო, ზოგიერთი მწვრთნელის აზრით აუცილებლად საჭიროა თვისებაც, კი არის, რომელიც უნდა ეხმარებოდეს სპორტსმენს ბრძოლის ძნელ მომენტებში. ქორსელაძე არ იზიარებდა ამ შეხედულებას, არც კი ესმოდა, რა არის სპორტული სიყვარული. ნანასაც არ ესმის.

მახსოვს, თხუთმეტი წლის გოგონა რომ იყო, ნანამ პირველად მიიღო მოწაფეობა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში, რომელიც მაშინ მიმდინარეობდა ბის მშობლიურ ქალაქში — თბილისში. თავმდაბალი, ბავშვურად უშუალო და კისკისა გოგონა ყველა მონაწილისათვის ძვირფასი გახდა. მას სასკოლო ფორმა ეცვა და თეთრი ბანტი ეკეთა, და მეტსახელი „პაწია“, რომლითაც იგი მონათლეს, არა მარტო ძალიან შვენოდა ნანას, არამედ ტურნირის ყველაზე ნორჩი მონაწილისადმი საკრთო სიმპათიებსაც ასახავდა. „პაწიას“ ყველა თავისი მეტოქე უყვარდა, დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მათ როგორც ზრდილი გოგონა. ამან ხელი არ შეუშალა მას მეცხრე ტურის შემდეგ ლიდერობა გაეწიაწლებინა მსოფლიოს ჩემპიონ ჯაფრინდაშვილთან, ხოლო ბოლოს და ბოლოს მეხუთე